ბათუმის წყალი

შპს „ბათუმის წყალი"
ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის ქ. N19
ტელ.: (0422) 24 22 22
1152
ელ-ფოსტა: info@bats.ge
www.bats.ge

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ბათუმის წყალი" გეგმავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში ადლიის დასახლების ტერიტორიაზე არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და წარმადობის გაზრდას, რაც ითვალისწინებს, არსებული გამწენდი ნაგებობის მიმდებარედ, ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსებას და იმ ტერიტორიებზე, სადაც დღეის მდგომარეობით არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობას.

არსებული გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 20 ოქტომბერს გაცემული N93 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, შესაბამისი გზშ-ის ანგარიშის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის N2-480 ბრძანების შესაბამისად გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც გაცემული იყო ქ. ბათუმის მერიაზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს N2-687 ბრძანების მიხედვით გადაეცა შპს „ბათუმის წყალს".

საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის 12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად განიხილება, ხოლო ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ საქმიანობის განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატებს Shp ფაილების სახით.

დანართი:

1. ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და წარმადობის გაზრდის სკოპინგის ანგარიშს - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატებს Shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსიას -1 CD.

შპს „ბათუმის წყალი"-ს

გენერალური დირექტორი ალექსანდრე მჟავანაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
27. 05 2024 წ.
№ 5169